ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი სახალხო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის აგვისტოს 1.	№ 16 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 167. შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინის საბითუმო, ნახევრად-საბითუმო და ცალობითი ვაჭრობისათვის საგასაცემო ფასებისა და წანამატების დაწესების შესახებ.

„ 168. „1-ლი საფეხურის სასოფლო და საქალაქო სკოლების მასწავლებელთა და განათლების საკმეში სოფლად სხვა მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ“ 1925 წლის იანვრის 15-ს თარიღით გამოცემული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეფარდების წესისათვის.

„ 169. სახელმწიფო სინდიკატთა და სასინდიკატო შეთანხმებათა (კონვენციათა) ა/კსფსრ-ში მოწყობისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ.

„ 170. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ნორმალური წესდების 35 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 171. ა/კსფსრ-დან სრულიად საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილე მუშათა და მოსამსახურეთა კომპენსაციის შესახებ.

„ 172. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან უწყებათა და დაწესებულებათა საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის დაკავშირების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 12 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივნისის 30.

167. შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინის საბითუმო, ნახევრად-საბითუმო და ცალობითი ვაჭრობისათვის საგასაცემო ფასებისა და წანამატების დაწესების შესახებ.

„ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტისა და საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. მარტის 5-ს თარიღის დადგენილების თანახმად, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წლის აგვისტოს 25-ს თარიღისა და მე-14 №-ის დადგენილების გასაუქმებლად. ადგენს:

I. დაევალოს სახელმწიფო მრეწველობის ყველა სინდიკატსა და საწარმოს გაჰყიდონ და გასცენ:

ა) შავი სახურავი რკინა ფრანკო-ვაგონი დანიშნულების სადგურზე და აგრეთვე ფრანკო-ბარჟა დანიშნულების ნავთსაყუდზე არა უძკირეს ქვემო-აღნიშნული უკიდურესი ფასებისა:

		ურალისა და ჩრდილოეთ-ციატსკის ოლ-ქის ქარხნებისა.	„იუგო-სტალ“-ისა და „წითელი ოქტომბრის“ ქარხნებისა სტალინ-გრადში	კავშირის სხვა ქარხნებისა.
შავი სახურავი რკინა ტონნა მე-3 ხარისხისა 4, 5-5 კილოგრ.	**საქართველოს სსრ-ში:**			
	ა) ტფილისისათვის . . .	214 მან.	196 მან.	201 მან.
	ბ) დანარჩენი პუნქტებისათვის	—	197 „	
	სომხეთის სსრ-ში:			
	ა) ერევნისათვის		198 „	
	ბ) დანარჩენი პუნქტებისათვის	215 „	197 „	202 მან.
	აზერბაიჯანის სსრ-ში . .	210 „	193 „	197 „
	აჭარისტანის ავტ. სსრ-ში .	215 „	198 „	202 „
	ნახიჩევანის სსრ-ში . . .	216 „	199 „	203 „

ბ) მოთუთიავებული რკინა მე-2 ხარისხისა კილოგრამ.—ფასი ტონნაზე არა უმეტეს 345 მანეთისა მთლად ა/კსფსრ-ში ფრანკო-ვაგონი დანიშნულების სადგურზე ან ფრანკო-ბარჟა დანიშნულების ნავთსაყუდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ფასები შეეხება სრულად დატვირთულ ვაგონებს, ე. ი. $16^1/_2$ ტონნიანს; ხოლო, უკეთუ გამოწერილი იქნება 8-დან 16 ტონნამდე, შავი სახურავი რკინის ფასი გადიდდება 3 მანეთით ტონნაზე, მოთუთიავებული რკინის ფასი-კი დაწესდება 366 მან. რაოდენობით ტონნაზე; უკეთუ გამოწერილი იქნება 4-დან 8 ტონნამდე, შავი სახურავი რკინის ფასი გადიდდება 10 მანეთით ტონნაზე, ხოლო მოთუთიავებული რკინის ფასი დაწესდება 373 მან. რაოდენობით ტონნაზე.

შენიშვნა 2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ფასები ითვლება ანგარიშის ნაღდი გასწორებისათვის, ხოლო, უკეთუ მრეწველობა ან სინდიკატები დაუთმობენ მყიდველს რკინას კრედიტით, ამ კრედიტის ღირებულებას მყიდველი გადაიხდის აღნიშნული ფასის გარეშე; ამასთანავე სადისკონტო პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს იმ ბანკის სადისკონტო პროცენტს, სადაც გამყიდველი კრედიტს იღებს.

შენიშვნა 3. ტვირთის მიმღებს დაეკისრება ყველა ხარჯი მიმღების მიზეზით დანიშნულების სადგურზე ვაგონის მოცდენისა და ტვირთის შენახვისათვის, ტვირთის აწონისათვის, უკეთუ ეს მიმღების მოთხოვნით მოხდება დანიშნულების სადგურზე, და აგრეთვე ვაგონიდან ან ბარკიდან ტვირთის გადმორტვირთვისათვის.

ყველა სხვა სარკინისგზო ხარჯი მოთავსებულია ფასში ფრანკოვაგონი დანიშნულების სადგურზე.

შენიშვნა 4. სარკინისგზო ფრახტის ფაქტიური ღირებულების სასყიდელს გაიღებს შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინის მიმღები და ეს თანხა გამყიდველმა უნდა ჩამოსწეროს მიმღების ანგარიშიდან იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია უმაღლესი სამეტალურგო საბჭოს მიერ გამოცემულ და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ნოემბრის 17-ს თარიღის დადგენილებით (ოქმი № 280) დამტკიცებულ ტარიფთა კრებულში.

განსხვავება ლითონის მიმღების მიერ რკინის გზის სატვირთო ბარათით გადახდილ თანხასა და მისი ანგარიშიდან გამყიდველის მიერ სათანადოდ ჩამოწერილ თანხას შორის აღდგენილ იქნება ერთისა ან მეორე მხარის სასარგებლოდ შემდგომ, სასყიდლის გადახდის დროს.

ამ განსხვავების მისაღებად ლითონის მიმღები გადასცემს გამყიდველს მის მიერ გამოსყიდულ სატრანსპორტო დოკუმენტს მიმღების საგადასაცემო წარწერით.

უკეთუ განსხვავება თვითეულ სატვირთო ბარათზე 2 მან. ნაკლებია, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ნაკლებ-აღება ან მეტ-აღება სისტემატიურად ჰხდება, ტვირთის მიმღებს უფლება არა აქვს განუცხადოს ტვირთის გამგზავნელს თავისი პრეტენზია.

ტვირთის დაკლებისა და გაფუჭებისათვის გზაში ტვირთის მიმღებმა ზარალი უშუალოდ რკინის გზის წინააღმდეგ უნდა ისარჩელოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 5. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნ. აღნიშნული ფასები სავალდებულოა როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მთავარ სამეტალურგო სამმართველოს ქვემდებარე ქარხნებისთვის, ისე ადგილობრივი ქარხნებისათვის.

II. როდესაც შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინა გეგმითი შეკვეთით გზათა სახალხო კომისარიატისა და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის საჭიროებისთვის გაიცემა, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში განსაზღვრული ფასები სავალდებულო არ არის. აღნიშნულ მომხმარებელთ უფლება ეძლევათ მოსთხოვონ ლითონის მრეწველობას ან სინდიკატებს რკინა მიეცეს მათ შემდეგ ფასად ტონნაზე ფრანკო-ვაგონი გაგზავნის სადგურზე:

	ურალ-მეტალისა და ჩრდილო-ვიატსკის ოლქის ქარხნები.	„იუგო-სტალ“-ისა და „წითელი ოქტომბრი“-ს ქარხნები სტალინგრადში.	კავშირის სხვა ქარხნები.
შავი სახურავი რკინა, ტონნა მე-3 ხარისხისა 4, 5-5 კილოგრ. .	171 მან. 57 კაპ.	169 მან. 83 კაპ.	175 მან. 62 კაპ.
მოთუთიავებული რკინა, ტონნა მე-2 ხარ. 4 კილოგრ. . . .	324 მან.	324 მან.	324 მან.

III. ზედნაფასი და მონაკლები ამა თუ იმ ხარისხისა, თვისებისა, წონის შეფარდებისა, ტეხნიკური მიღებისა, სიგრძისა, სხვადასხვა სახით გაცემისათვის და სხვ. შეფარდებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების I და II მუხლით განსაზღვრული ფასისამებრ უმაღლესი სამეტალურგო საბჭოს მიერ 1926 წ. გამოცემული შავი ლითონის ზედნაფასების პრეისკურანტით, იმ ცვლილებებით, რაც აღნიშნულია სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. თებერვლის 4-ს დადგენილებაში (გამოქვეყნებულია ჟურნ. „სოვეტსკაია ტორგოვლია“-ს 1927 წლის აპრილის 10 თარიღისა და 20-21 №-რის დანართში). ყველა აღნიშნული ზედნაფასი და მონაკლები შეფარდებულ უნდა იქნეს ერთნახევარი რაოდენობით.

IV. ცენტრალურ კავშირსა, სასოფლო კავშირსა და მათ მოწილადეთ გენერალურ ხელშეკრულებებში და საკონტრაქტო გარიგებებში, აგრეთვე სრულიად რუსეთის კოოპერატიული მრეწველობის კავშირს უფლება აქვთ სატრანზიტო გაყიდვის დროს დაადონ მრეწველობის საგასაცემო ფასს და სინდიკატების გასაყიდ ფასს—ზედნაფასითურთ—ამა დადგენილების I-ლი და მე-II მუხ. თანახმად—მაქსიმალურად უკიდურესი წანამატი არა უდიდეს 2 პროცენტისა.

V. ყველა სხვა მოვაჭრე ორგანიზაციას, რომელიც ამა დადგენილების მე-IV მუხ. ჩამოთვლილი არ არის, უფლება აქვს სატრანზიტო გაყიდვის დროს დაუმატოს ამა დადგენილების I-ლ და მე-III მუხ. აღნიშნულ ფასებს არა უმეტეს 3 პროცენტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა IV და V მუხლებისა. იმ შემთხვევაში, როდესაც შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინა გაივლის ტრანზიტით კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემას, დაწყებული ცენტრალური საფეხურიდან ძირეულ საფეხურამდე, საშუალო საფეხურის შუამავლობით,—ცენტრალურ და საშუალო საფეხურებს ერთად უფლება აქვთ დაადონ მრეწველობისა და სინდიკატების ფასს წანამატი, საერთოდ, არა უმეტეს 3, 5 პროცენტისა. ხოლო, უკეთუ საქონელი გაივლის მარტოოდენ საშუალო საფეხურამდე,—სატრანზიტო წანამატი დაიდება მხოლოდ ერთჯერ, იმისდამიუხედავად, თუ რამდენჯერ იქნება საქონლის უწყებული პარტია ხელახლად გაყიდული.

VI. შავი სახურავი და აგრეთვე მოთუთიავებული რკინის ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი გრადაციები საბიუთუმო, ნახევრად-საბითუმო და ცალობითი ვაჭრობისათვის:

	სახურავი რკინა	მოთუთიავებული რკინა
ბითუმი ვაჭრობა	8 ტონნაზე მეტი	0,5 ტონაზე მეტი
ნახევრად-ბითუმი ვაჭრობა .	0,3 ტ-დან 2 ტონ-დე	0,1 ტ-დან 0, 5 ტ-დე
ცალობითი ვაჭრობა . . .	0,3 ტონნაზე ნაკლები	0,1 ტონნაზე ნაკლები

VII. სოფლად მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას ნახევარ-საბითუმო ვაჭრობისათვის დაწესებულ ნორმაზე ნაკლები საქონელი მიეყიდება ნახევრად-საბითუმო ფასებში.

VIII. შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინის გაცემისათვის მოვაჭრე ორგანიზაციების საწყობებიდან ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და ცალობით დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი ზედნართი მანეთობით თითო ტონნაზე:

ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა	ქ.ქ. ბაქოს, ტფილისისა და ერევნისათვის			ა/კსფსრ-ის სხვა ადგილებისათვის.		
	ბითუმი	ნახევრად ბითუმი	ცალობ.	ბითუმი	ნახევრად ბითუმი	ცალობ.
1. შავი სახურავი რკინა	14 მ.	17 მ.	39 მ.	22 მ.	26 მ.	50 მ.
2. მოთუთიავებული რკინა	22 მ.	27 მ.	54 მ.	29 მ.	35 მ.	67 მ.

IX. დაევალოს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში—დაწესოს იმ ადგილებისათვის, რომელნიც დაშორებულ არიან ა/კ. რკინის გზების ხაზისაგან 10 კილომეტრზე მეტი მანძილით, საშუალო ზედნართები შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდვის ადგილამდე ჭაპანზიდვის ტრანსპორტით მიზიდვის ღირებულების დასაფარავად.

X. დაევალოს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში დაუწესონ, ამა დადგენილების თანახმად, ცალობითი კერძო მოვაჭრეთ მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატები შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინის ვაჭრობისათვის.

XI. შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინა უნდა გაიცეს მხოლოდ იმ ცალობით კერძო მოვაჭრეებზე, რომელნიც დასდებენ ვალდებულებს, რომ აღნიშნული საქონლის რეალიზაციას ისინი მოახდენენ ისეთ ფასებში, რაც არ აღემატება ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა მიერ ადგილებისათვის დაწესებულ ფასებს.

XII. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

XIII. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინაგაჭრობის წესების დარღვევისათვის.

XV. დადგენილება ესე ძალაში შედის სატრანზიტი ოპერაციებისათვის 1928 წლის მარტის 15-დან და გავრცელდება ყველა წინად დადებულ გარიგებაზე პროდუქციის იმ ნაწილის მიმართ, რაც ჩაბარებული არ არის აღნიშნული ვადისათვის, ხოლო საბითუმო, ნახევრად-საბითუმო და ცალობითი გაყიდვისათვის მოვაჭრე ორგანიზაციების საწყობებში — დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

საქმეთა მმართველი **შახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 164 №-ში 1928 წ. ივლისის 17-ს.

დადგენილება № 104 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. ივლისის 10.

168. „1-ლი საფეხურის სასოფლო და საქალაქო სკოლების მასწავლებელთა და განათლების საქმეში სოფლად სხვა მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ“ 1925 წ. იანვრის 15-ს თარიღით გამოცემული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1928 წლის ივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისის 8-ს თარიღისა და 589 №-ის (ფინ. სახ. კ-ტისა) და 341 №-ის (შრ. სახ. კ-ტის) ინსტრუქცია—1-ლი საფეხურის სასოფლო და საქალაქო სკოლების მასწავლებელთა და განათლების საქმეში სოფლად სხვა მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ [1]).

2. ინსტრუქციით საგუბერნიო დამზღვევი სალაროებისათვის და საგუბერნიო საფინანსო განყოფილებებისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობანი დაეკისროს—თანადობით—სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტებსა (სალაროებს) და აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის ფინანსთა სახალხო კომისარიატებს.

3. ინსტრუქციის მე-2 მუხლის შეფარდების დროს, ნაცვლად დასახელებული თარიღი-სა „1927 წლის ნოემბრის 7 ახალი სტილით“, სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს შემდეგი თარიღები:

ა) საქართველოსათვის—1921 წლის თებერვლის 25, ბ) აზერბაიჯანისათვის—1920 წლის აპრილის 28 და სომხეთისათვის—1920 წლის ნოემბრის 29—ახალი სტილით.

4. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისთანავე გაუქმებულია:

ა) ა/კძსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1925 წ. აპრილის 27-ს ინსტრუქცია „1-ლი საფეხურის სასოფლო და საქალაქო სკოლების მასწავლებელთა და განათლების საქმეში სოფლად სხვა მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ 1925 წ. იანვრის 15-ს თარიღით გამოცემული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეფარდებისათვის“ (ა/კსფსრ შრომის მომქმედი კანონმდ. კრებ., 1926 წლის გამოცემა, გვ. 969);

ბ) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1925 წ. ივლისის 31-ს ცირკულიარი „1-ლი საფეხურის სასოფლო და საქალაქო სკოლების მასწავლებელთა და განათლების საქმეში სოფლად სხვა მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ 1925 წ. იანვრის 15-ს თარიღით გამოცემული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეფარდებისათვის 1925 წლის აპრილის 27-ს თარიღით გამოქვეყნებული ინსტრუქციის დამატების თაობაზე“ (ა/კსფსრ შრომის მომქმედი კანონმდ. კრებ., 1926 წ. გამოც.,გვ. 973).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვ. მთავარ სამმართველოს უფრ. მოადგ. **თუშიშვილი.**

შეთანხმებულია: ა/კსფსრ ფინ. სახ. კ-ტის საბიუჯ. სამმართველოს უფროსი **უბირია.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 165 №-ში 1928 წ. ივლისის 18-ს.

---

*) გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ“-ის 136 №-ში 1928 წ. ივნისის 14-ს და 138 №-ში 1928 წ. ივნისის 16-ს.

№ 15 ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

169. სახელმწიფო სინდიკატთა და სასინდიკატო შეთანხმებათა (კონვენციათა) ა/კსფსრ-ში მოწყობისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-რი, მუხ. 128, 129 და 130)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. სინდიკატის ზოგადი დებულებანი, სინდიკატის დაარსებისა, წესდების დამტკიცებისა და შეცვლისა და კაპიტალის შექმნის წესი, სინდიკატის წევრთა უფლება-მოვალეობანი, მისი მმართველობის ორგანოების მოწყობისა და მისივე მოქმედებისა და მოსპობის წესი განისაზღვრება სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის თებერვლის 29-ს დადგენილებით დამტკიცებული დებულებით—„სახელმწიფო სინდიკატთა შესახებ“, იმ დამატებებითურთ, რაც გათვალისწინებულია ქვემოაღნიშნულ მუხლებში:

მუხლი 1. იძულებით ტრესტების სინდიკატად გაერთიანება, რაც განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება, ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოხდება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით:

1) უკეთუ გაერთიანდებიან ფედერატიული მნიშვნელობის ტრესტები ან ფედერატიული მნიშვნელობის ტრესტები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების რესპუბლიკანური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტებთან, და

ბ) უკეთუ გაერთიანდებიან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკების რესპუბლიკანური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტები; ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის დადგენილებით, უკეთუ გაერთიანდებიან ერთი რომელლიმე რესპუბლიკის რესპუბლიკანური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტები.

მუხლი 2. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირების დადგენილებების ძალით ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოწყობილი სინდიკატები შეიძლება იყვნენ ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების გამგებლობაში ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატების გამგებლობაში.

ა/კსფსრ-ისა ან მასში შემავალი რესპუბლიკის ერთი რომელიმე სახალხო კომისარიატის ქვემდებარე ტრესტების გამაერთიანებელი სინდიკატი ხსენებული სახალხო კომისარიატის გამგებლობაშია. დანარჩენ შემთხვევაში სინდიკატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემდებარეობა ამა თუ იმ სახალხო კომისარიატისადმი განსაზღვრება წესდების დამტკიცების დროს.

მუხ. 3. ფედერატიული მნიშვნელობის ტრესტებისა ან ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკების ტრესტების გამაერთიანებელი სინდიკატის წესდებას დაამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო იმ სახალხო კომისარიატის წარდგენით, რომლის გამგებლობაშიაც უნდა იყოს სინდიკატი.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკების ტრესტების გამაერთიანებელი სინდიკატის წესდება, უკეთუ ეს სინდიკატი არა-გაერთიანებულ სახალხო კომისარიატს ექვემდებარება, შეტანილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ, ან ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის დასკვნითურთ.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთი რომელიმე რესპუბლიკის ტრესტების გამაერთიანებელი სინდიკატის წესდებას დაამტკიცებს ამ რესპუბლიკის ეკონომიური თათბირი იმ სახალხო კომისარიატის წარდგენით, რომლის გამგებლობაშიაც უნდა იყოს სინდიკატი.

მუხ. 4. იმის გარდა, რომ პუბლიკაცია იმ სინდიკატის წესდების დამტკიცების შესახებ, რომლის წესდებასაც ა/კსფსრ ეკონომიური საბჭო ამტკიცებს, უნდა მოხდეს სინდიკატის დამფუძნებელთა ხარჯით გაზ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ში, აგრეთვე სათანადო სახალხო კომისარიატი მოახდენს ამ პუბლიკაციას გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში.

ის ბეჭდვითი ორგანო, სადაც, ამის გარდა, უნდა მოხდეს პუბლიკაცია ისეთი სინდიკატის წესდების დამტკიცების შესახებ, რომლის წესდებასაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირი ამტკიცებს, აღნიშნული იქნება ზემოხსენებული რესპუბლიკის კანონმდებლობაში.

მუხ. 5. უკეთუ რწმუნებულთა კრება სცნობს, რომ სინდიკატი, რომლის წესდებაც დამტკიცებულია ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ, შემდგარია,—კრების მიერ არჩეული გამგეობა მოვალეა დაუყოვნებლივ წარუდგინოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ან მის რწმუნებულს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში—კუთვნილებისამებრ—განცხადება სინდიკატის რეგისტრაციის შესახებ.

მუხ. 6. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესდება სინდიკატისა, ამ უკანასკნელის რეგისტრაციის შემდეგ, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სინდიკატის ხარჯით ა/კსფსრ კანონთა კრებულის მეორე განყოფილებაში. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ დამტკიცებულ წესდებათა გამოქვეყნების წესი განისაზღვრება ამ რესპუბლიკის კანონმდებლობაში.

მუხ. 7. სინდიკატის წესდების შემდგომი ცვლილება დამტკიცებულ და გამოქვეყნებულ იქნება იმავე წესით, რაც დადგენილია ა/კსფსრ უმაღლესი ეკო-

ნომიური საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ დამტკიცებული წესდებების დამტკიცებისა და გამოქვეყნებისათვის.

მუხ. 8. სინდიკატის შენაერთი კაპიტალი შეიძლება შეიცვალოს, ხოლო მისი შემცირება იმ მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლებ, რაც წესდებაშია აღნიშნული, არ შეიძლება; ამასთანავე, ეს მინიმალური რაოდენობა ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის ქვემდებარე სინდიკატისათვის არ შეიძლება 300.000 მან. ნაკლები იყოს; ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების ქვემდებარე სინდიკატების შენაერთი კაპიტალის მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება ამ რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხ. 9. იმ სინდიკატის მოქმედება, რომლის წესდებაც დამტკიცებულია ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ, მოისპობა სახელმწიფო სინდიკატთა დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დასახალებულ ორგანოთა შორის იმ ორგანოს დადგენილებით, რომლის კომპეტენციასაც შეადგენს წესდების დამტკიცება.

მუხ. 10. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ—კუთვნილებისამებრ—სინდიკატის მოქმედების მოსპობის შესახებ დადგენილების გამოტანისათანავე, გამგეობა, არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა, მოიწვევს რწმუნებულთა კრებას, რომელიც განიხილავს საკითხს სინდიკატის საქმეებისა და ქონების ლიკვიდაციის წესისა და ვადის თაობაზე და აარჩევს სალიკვიდაციო კომისიის წევრებს. დადგენილება ლიკვიდაციის წესისა და ვადისა და სალიკვიდაციო კომისიის წევრების არჩევის შესახებ ძალაში შედის მხოლოდ იმ სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცების შემდეგ, რომლის გამგებლობაშიაც სინდიკატია.

შენიშვნა. უკეთუ გამგეობა არ მოიწვევს ამა მუხლით დადგენილ ვადაზე რწმუნებულთა კრებას, ან რწმუნებულთა კრებაზე არ აღმოჩნდება წესდებით გათვალისწინებული კვორუმი—ლიკვიდაციის წესსა და ვადას დაადგენს და აგრეთვე სალიკვიდაციო კომისიის წევრებს დანიშნავს უშუალოდ ის სახალხო კომისარიატი, რომლის გამგებლობაშიაც სინდიკატია.

მუხ. 11. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის დადგენილება სინდიკატის ლიკვიდაციისა და სალიკვიდაციო კომისიის დარსების შესახებ გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში არსებული წესისამებრ. სინდიკატის სალიკვიდაციოდ მიქცევისა, აგრეთვე სალიკვიდაციო კომისიის შედგენილობისა, მისი სამყოფელი ადგილისა და პრეტენზიების განცხადების ვადის შესახებ სალიკვიდაციო კომისია მოახდენს პუბლიკაციას ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ორგანოებში.

მუხ. 12. იმ სასარჩელო საქმეებზე წარმომადგენლობის წესი, რაც დამთავრებულ არ იქნება სალიკვიდაციო კომისიის მოქმედების მოსპობის მომენტისათვის, განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 13. უკეთუ მოხდება ისეთი სინდიკატის ლიკვიდაცია, რომლის წესდებაც დამტკიცებულია ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ, სინდიკატის იმ ქონების დანაშნულება,—რაც კერძო პირებზე არ განისხვისება, აგრეთვე იმ ქონებისა, რაც დარჩება სინდიკატის ყველა კრედიტორის, არსებული წესისამებრ, დაკმაყოფილების შემდეგ,—განისაღვრება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით, უკეთუ სინდიკატის წევრები ა/კსფსრ-ის სახელმწიფო საწარმონი არიან ან საწარმონი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკებისა,—და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის დადგენილებით, უკეთუ სინდიკატის ყველა წევრი ამ რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოა.

მუხ. 14. სახელმწიფო სინდიკატთა დებულების 78 მუხლში აღნიშნული საფუძვლების მიხედვით მოსასპობი ისეთი სინდიკატის მოქმედების მოსპობის წესი, რომლის წესდებაც დამტკიცებულია ა/კსფსრ უმაღლესი ეკონონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბარის მიერ,—განისაზღვრება თვითეულ ცალკე შემთხვევაში ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის დადგენილებით.

II. ა/კსფსრ ტერიტორიაზე სასინდიკატო შეთანხმებათა (კონვენციათა) მოწყობის წესი და ის მოთხოვნანი, რასაც ეს შეთანხმებანი უნდა აკმაყოფილებდნენ, განისაზღვრება სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. თებერვლის 29-ს დადგენილებით დამტკიცებული სასინდიკატო შეთანხმებათა (კონვენციათა) დებულებით, იმ დამატებებითურთ, რაც გათვალისწინებულია ქვემოაღნიშნულ მუხლებში:

მუხ. 1. იმ კონვენციას, რომლის მონაწილენიც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთი რომელიმე რესპუბლიკის საწარმონი და ორგანიზაციები არიან, რეგისტრაცია გაუკეთდება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ხსენებულ რესპუბლიკაში. დანარჩენ კონვენციებს, რომლის მონაწილენიც ა/კსფსრ-ის ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკების საწარმონი და ორგანიზაციანი არიან, რეგისტრაცია გაუკეთდებათ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატში. კონვენცია ძალაში შედის მხოლოდ ამა მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციის შემდეგ.

მუხ. 2. უკეთუ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ან მისი რწმუნებული ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში—კუთვნილებისამებრ—მიზანშეუწონლად სცნობს კონვენციის დადებას, მას უფლება აქვს არ გააკეთოს რეგისტრაცია და საკითხი კონვენციის დადების შესახებ შეიტანოს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომურ თათბირში—კუთვნილებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 3. კონვენციის შემდგომი ცვლილებანი რეგისტრაციაში გატარებულ იქნებიან 1-ლ და მე-2 მუხლ. აღნიშნული წესისამებრ.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ივლისის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 170 №-ში 1928 წ. ივლისის 25-ს.

დადგენილება № 56 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

170. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ნორმალური წესდების 35 მუხლის შეცვლის შესახებ.

„კოოპერაციის სათადარიგო კაპიტალის შექმნისა, შენახვისა და ხარჯვის წესის შესახებ" 1928 წ. მაისის 23-ს თარიღით გამოცემული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ნორმალური წესდების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 1-ლი №-რი, მე-II განყ.) 35 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 35. სათადარიგო კაპიტალის შედგენილი იქნება წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხისაგან რაოდენობით არა ნაკლებ 20%-სა, სათადარიგო კაპიტალის პროცენტებისაგან და სხვა შემოსავლისაგან, რაც საერთო კრების დადგენილებით სათადარიგო კაპიტალში ჩაირიცხება.

როდესაც სათადარიგო კაპიტალი მიაღწევს ამხანაგობის ძირითადი კაპიტალის—საპაიო ნაწილის გამოკლებით—50% რაოდენობას, მოგებიდან ანარიცხების გადადება სათადარიგო კაპიტალში შეიძლება მოსპობილ იქნეს საერთო კრების დადგენილებით.

ამხანაგობა მოვალეა სამი თვის ვადაზე დღიდან საერთო კრების დადგენილებისა—მოგების განაწილების შესახებ—გადასცეს თავისი ანარიცხები სათადარიგო კაპიტალს სპეციალური ანაბარების სახით (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი) . . . . . რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან არსებულ ცალკე ფონდებში მოთავსებით; ამასთანავე, აღნიშნული ანაბარები დაბრუნებულ უნდა იქნეს სპეციალურ კანონში გათვალისწინებული წესისამებრ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი თან. დრ. აღმ. **ბომბინი.**

1928 წ. ივლისის 12. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 171 №-ში 1928 წ. ივლისის 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

171. ა/კსფსრ-დან სრულიად საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილე მუშათა და მოსამსახურეთა კომპენსაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

იმ მუშათა და მოსამსახურეთ, რომელნიც მონაწილეობას იღებენ სრულიად საკავშირო სპარტაკიადაში ქალ. მოსკოვს 1928 წლის აგვისტოს 3-დან 25-დეამრიცხვითურთ,—შეენარჩუნოთ სამსახურის ადგილი და საშუალო სამუშაო საშოვარი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წლის ივლისის 24. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 172 №-ში 1928 წ. ივლისის 27-ს.

დადგენილება № 57 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

172. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან უწყებათა და დაწესებულებათა საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის დაკავშირების შესახებ.

ა/კსფსრ უწყებათა და დაწესებულებათა საკონტროლო-საგამოკვლევო მუშაობაში მრავლიანობისა და პარალელიზმის ასაცილებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ უწყებათა და დაწესებულებათა საკონტროლო-საგამოკვლევო მუშაობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებულ წლიურ გეგმებში.

შენიშვნა. წლიურ გეგმაში არ შეიტანება ის საკონტროლო მუშაობა, რაც გატარებულ უნდა იქნეს მიმდინარე საოპერატივო-საგამგებლო მოქმედების პროცესში. ასეთი მუშაობის წრეს თვითეული უწყება და დაწესებულება განსაზღვრავს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. უწყებისა და დაწესებულების მიერ ა/კფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში შესათანხმებლად წარდგენილი წლიური გეგმა საკონტროლო-სარევიზიო მუშაობისა უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს:

ა) გამოკვლევის ან რევიზიის მიზანი, მოცულობა და ობიექტი;

ბ) საგამოკვლევო ან საკონტროლო მუშაობის ვადა;

გ) სარევიზიო კომისიისა და საკონტროლო აპარატის შედგენილობა.

3. საერთო წესად მიღებულ უნდა იქნეს, რომ იმ უწყებასა და დაწესებულებას, რომელსაც თავის ანგარიშვალდებულ საწარმოსა და ორგანიზაციის მიმართ აქვს საკონტროლო-სარევიზიო ფუნქციები, შეუძლიან მოახდინოს ამა თუ იმ ქვემდებარე ობიექტის გამოკვლევა ან რევიზია არა უმეტეს, ვიდრე წელიწადში ერთხელ, თანაც იმ პირობით, რომ გამოკვლევა თუ რევიზია საწარმოებდეს ერთი თვის ვადაზე არა მეტ ხანს. ამ წესის ყოველგვარი გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

4. ყველა გეგმის-გარეშე რევიზიისა და გამოკვლევის შესახებ უწყება და დაწესებულება მოვალეა წინასწარ აცნობოს შესათანხმებლად ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

5. უკეთუ საქმის გადადება შეუსაბამოა, უწყებასა და დაწესებულებას შეუძლიან აწარმოოს საკონტროლო-საგამოკვლევო მუშაობა ა/კფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან წინასწარ შეუთანხმებლადაც, ხოლო იმავე დროს უნდა აცნობოს ეს აღნიშნულ სახალხო კომისარიატს. ასეთ შემთხვევაში, უკეთუ მოხდა პარალელიზმი უწყებულ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობასა და სხვა უწყებათა მუშაობას შორის, — ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს შეაჩეროს, სამი დღის ვადაზე, ეს მუშობა და მიიღოს სათანადო ღონისძიება პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად.

6. გამოკვლევის პროცესში უწყებასა და დაწესებულებას შეუძლიან მოსთხოვოს კონტროლის ქვეშ მყოფ გამოსაკვლევ ორგანოს ცნობების წარდგენა მხოლოდ იმ ფორმების მიხედვით, რაც დაწესებულია ნორმალური ანგარიშგებისათვის.

შენიშვნა. ყოველგვარი სხვა ფორმით ცნობების მოთხოვნა შეთანხმებული უნდა იყოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან.

7. საგამოკვლევო მუშაობის შედეგებს, დასკვნითა და წინადადებებითურთ, საუწყებო საკონტროლო ორგანო წარუდგენს სათანადო ცენტრალურ დაწესებულებას; თანაც დასკვნისა და წინადადებების ასლს იგი გაუგზავნის ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

8. საკონტროლო-სარევიზიო მუშაობაში მიღებული გამოცდილების თანაზიარობისა და ამ მუშაობის მოწესრიგებისათვის ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან დაარსდება მუდმივი თათბირი საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო ორგანოების წარმომადგენელთაგან. თათბირი მოიწვევა ხოლმე პერიოდულად და მოქმედობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ერთ-ერთი წევრის თავმჯდომარეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. თათბირის გადაწყვეტილებანი წარედგინება დასამტკიცებლად მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს და გაეგზანება სახელმძღვანელოდ ყველა დაინტერესებულ უწყებასა და დაწესებულებას.

9. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ, ორი კვირის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ანალოგიური დადგენილება რესპუბულიკანური ორგანოებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თან. დრ. ალმ. **ბომბინი.**

1928 წ. ივლისის 12. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 172 №-ში 1928 წ. ივლისის 27-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1546. დაიბეჭდა 1000.